ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XX
თბილისი. 2024

ნინო სილაგაძე
ასოცირებული პროფესორი, თსუ

ქუმის წმ. გიორგის ეკლესია*

ქუმის (იგივე ქომის ან ხომის) წმ. გიორგის ეკლესია მდებარეობს ისტორიულ სამცხეში, ახალციხიდან დაახლოებით 15 კმ-ში, თანამედროვე სოფ. სვირის და ნასოფლარ ტორნისის მიდამოებში (ძეგლის კოორდინატები 41°44'43"N 42°59'21"E). ნაგებობა კლდოვან ხეობაში, ტყიან ტერიტორიაზეა აღმართული, მისმა ფრაგმენტებმა ნანგრევების სახით მოაღწია ჩვენამდე (სურ. 1). ეკლესიის გარშემო ფიქსირდება არქიტექტრული დეტალები და დეკორით შემკული ცაკლეული ქვები. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ტერიტორას ხომის/ხომას/ქომის/ქუმის ტოპონიმით მოიხსენიებს, ამავე სახელით ცნობილია მთლიანად ხეობა, ამ ხეობაში არსებული ორი ნასოფლარი, მინერალური წყარო - ე. წ. აბანო, გამოქვაბულები და მონასტერი. ხომის/ქუმის ეკლესია განვითარებულ შუა საუკუნეებს უნდა ეკუთვნოდეს და ზოგიერთი მკვლევარი მას მოსე ხონელის სახელთან აკავშირებს.[1] ეკლესიის ირგვლივ აშკარად შეინიშნება სამონასტრო ნაგებობების კვალი, როგორც ჩანს, აქ მთელი კომპლექსი უნდა ყოფილიყო გაშენებული. აღსანიშნავია კელიების, დამხმარე სათავსების, მცირე სამლოცველოს და სხვ. ნაშთები, ასევე კლდის ფერდზე არსებული ქვაბები. ვ. სამსონაძის სიტყვებით, „ხომის ეკლესია-მონასტერი განვითარებულ შუა საუკუნეებს უნდა ეკუთვნოდეს. გამორიცხულია, რომ ეს მშვენიერი ნაგებობა, თანაც ასე მივარდნილ ხევში, თურქთა მომძლავრების შემდეგ, ესე იგი, XVI საუკუნის აქეთ იყოს აშენებული. ხოლო თუ გამარ-

* კვლევა [გრანტის ნომერი HE-21-1739] განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. This research [grant number HE-21-1739] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG).

[1] ვ. სამსონიძე. „გუნბათიანი მონასტერი“ და მოსე ხონელი (მოსე ხონელის სადაურობისთვის). საბჭოთა ხელოვნება №8. თბ. 1982, გვ. 51-59.

თლდა ჩვენი ვარაუდი, რომ ეს ძეგლი და მისი შემოგარენი ნამდვილად იყო დაკავშირებული „ამირანდარეჯანიანის“ ავტორის სახელთან, უნდა ვიფიქროთ, რომ არსებობდა XI-XII საუკუნეებშიც. მაგრამ უფრო სწორი ვიქნებით, თუ ამ ძეგლს X საუკუნეს მივაკუთვნებთ, ვინაიდან იგი საოცრად წააგავს სახელგანთქმული საფარის მონასტრის მიძინების ეკლესიას. მათ შორის დიდი მსგავსებაა ჩუქურთმებისა და თვით ძეგლის აღნაგობაშიც“[2]. თუმცა მკვლევარი ამ თავის ნაშრომში ძეგლის სავარაუდო დათარიღებას იძლევა, არ საუბრობს ამ მოსაზრების სასარგებლო არგუმეტაციაზე ან და რა იძლევა ძეგლის არქიტექტურულ-მახტვრული თავისებურებების ანალიზს, რადგან ეს პრობლემა მისი კვლევის საგანს არც წარმოადგენს.

საინტერესოა, რომ ქუმის ეკლესია, როგორც ჩანს, არაა ცნობილი არც ვახუშტი ბატონიშვილისთვის, არც ე. თაყაიშვილსითვის და არც ვ. ბერიძისთვის. სავარაუდოდ, ვახუშტი ამ ხეობას წნისისხევის სახელით იცნობს: მის ნაშრომში წნისისხევის აღწერა უშუალოდ მოსდევს აბანოს ხევის (წინუბნის ხეობის) აღწერას: „ამ ხევს ზეით, წნის, ერთვის მტკვარს წნისის ხევი გამომდინარე ფერსათის მთისა. ეს მოდის ჩრდილო-დასავლეთიდამ აღმოსავლეთ-სამხრეთს შუა. მერმე ჩრდილოდამ სამხრით. ამ ხევზედ არს, წნის ზეით, მონასტერი მაღალსა კლდესა ზედა, კეთილშენი, გუნბათიანი და აწ უქმი“[3]. მაგრამ ქუმის ტაძარი არაა გუმბათიანი ნაგებობა, ამიტომ ე. თაყაიშვილის მოსაზრებით, ვახუშტი წნისისხევის მონასტერში ბიეთის ტაძარს უნდა გულისხმობდეს[4].

ე. თაყაიშვილის საპირისპიროდ, ვ. ბერიძემ საეჭვოდ მიიჩნია მოსაზრება ვახუშტისეული წნისისხევის ეკლესიის და ბიეთის ტაძრის იდენტობის შესახებ, რადგან ბიეთის ტაძარის განლაგება არ შეესაბამება ვახუშტის სიტყვებს მონასტრის მაღალ კლდეზე მდებარეობის შესახებ: „არც სახელწოდებაა მითითებული და არც ტაძრის მდებარეობაა სწორად ნაჩვენები: იგი (ბიეთის ტაძარი (ნ. ს.) მაღალ კლდეზე არ დგას“[5]. თუმცა წნისისხევის ანუ ქუმის მონასტერს არც ვ. ბერიძე ეხება. მის „სამცხის ხუროთმოძღვრებაში“, სადაც რეგიონის შუა საუკუნეების მონუმენტური არქიტექტურა საფუძვლიანადაა შესაწავლილი, ეს ძეგლი განხი-

[2] ვ. სამსონიძე. „გუნბათიანი მონასტერი“ და მოსე ხონელი, გვ. 51-52.
[3] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. რედ. თ. ლომოური, ნ. ბერძენიშვილი. თბ. 1941, გვ. 124.
[4] Е. Такаишвили. Материалы по археологии Кавказа. XII. Москва. 1909, გვ. 5.
[5] ვ. ბერიძე. სამცხის ხუროთმოძღვრება. თბ. 1955, გვ. 155.

ლული არაა. ერთადერთი, ვინც ქუმის ნამონასტრალს აღწერს, ახალციხის მხარეთმცოდნეობითი მუზეუმის თანამშრომელი ბ. ტაბიძეა. 1940 წელს მან მოინახულა და აღწერა ძეგლი. მკვლევარი ადასტურებს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ამ ნაგებობებს ქუმის/ქომის/ხომის მონასტერს უწოდებდა[6].

წინამდებარე ნაშრომის ყურადღების საგანს ნამონასტრალის მთავარი ნაგებობა, ორნავიანი ეკლესია, წარმოადგენს. მისი ზომებია 20 მ 16 მ-ზე (სურ. 2). ნაგებობა შედგება მთავარი ნავისგან და მის ჩრდილოეთიდან მომიჯნავე მცირე ნავისაგან. გარდა ამისა, შენობას ჩრდილოეთის ფასადზე ტრაპეციის ფორმის (დასავლეთისკენ გაგანიერებული) მინაშენი მიუყვება, რომელიც თავად ეკლესიაზე ცოტათი მოკლეა და დაახლოებით გვერდითა ნავის აფსიდალურ ნაწილთან მთავრდება. ეკვდერის წაგრძელებული, თუმცა უსწორო ინტერიერი პილასტრების ორი წყვილის და ორი საბჯენი თაღის საშულებით სამ სეგმენტად იყოფა. კიდევ ერთ სეგმენტს ქმნის აღმოსავლეთ მონაკვეთი კედლის მცირე შვერილებით, რომელიც გამოყოფილ აფსიდალური ნაწილს ჰგავს, მაგრამ არ აქვს მომრგვალებული ფორმა, არამედ სწორი ფორმის კედლით სრულდება. ამ კედელში გაჭრილია ერთი სარკმელი. მინაშენში შესასვლელი დასავლეთიდანაა. კიდევ სამი სარკმელია ეკვდერის ჩრდილოეთის კედელში. შესაძლოა, ეს სათავსი სატრაპეზოს წარმოადგენდა.

კიდევ ერთი მინაშენი ეკლესიას სამხრეთიდან აქვს – ფასადის აღმოსავლეთის მონაკვეთზე მიდგმული იყო მცირე სამლოცველო გეგმაში სწორკუთხედში ჩაწერილი აფსიდით, ამ მხარეს გაჭრილი ერთი სარკმლით და დასავლეთის მხრიდან კარით. ძეგლიდან დასავლეთით, ორმოცდაათიოდე მეტრში, რაღაც ნაგებობის ნაშთებია (შესაძლოა, კელიების), ოდნავ მოშორებით, მაღალ და მიუვალ კლდეში, ქვაბულებია.

თავად ეკლესია, როგორც ვთქვით, ორნავიანია. მთავარი ნავი ჩრდილოეთის მცირე ნავს ორთაღიანი გასასვლელით უკავშირდება (სურ. 3). თაღები მასიურ, დაბალ მრგვალ სვეტზე და მასიურ ტრაპეციის ფორმის, ქვევიდან მომრგვალებული წახნაგების მქონე კაპიტელზეა გადაყვანილი. თაღებში ტიმპანებია, ასე რომ გვერდითა ნავის მხრიდან ღიობებს სწორკუთხა ფორმა აქვს. გვერდითა ნავი ვიწროა, ნათდება მთავარი ნავიდან და საკურთხეველში გაჭრილი ერთი სარკმლის მეშვეობით. მასში გარედან შესასვლელი დასავლეთიდანაა, კარის ზემოთ კიდევ ერთი პატა-

[6] ვ. სამსონიძე. „გუნბათიანი მონასტერი“ და მოსე ხონელი, გვ. 51-59.

რა მრგვალი სარკმელია, ჩრდილოეთის მხრიდან კი შენობას თითქმის მთელ სიგრძეზე მიუყვება მინაშენი. გვერდითა ნავის კამარა ორი დაკიდებული საბჯენი თაღითაა დანაწევრებული, თაღის ქუსლები მასიური, ტრაპეციის ფორმის კონსოლების სახითაა გაფორმებული. ასეთივეა აფსიდისპირა მასიური პილასტრების კაპიტელები და მათზე გადაყვანილი აფსიდისპირა თაღი. აფსიდი აღმოსავლეთის კედლის ხაზშია ჩაწერილი. მისი კედელი შიგნიდან შედარებით წვრილი და უსწორო ქვითაა ნაგები, კონქში წყობა უფრო მსხვილი და სწორკუთხა კვარდებისგან შედგება. ასეთივე თლილი და მსხვილი ქვითაა ნაგები გრძივი კედლები. ამ სათავსში მიწაში აღმოჩენილია ქვევრები, რამაც ვ. სამსონაძეს აფიქრებინა, რომ სათავსი მარანს წარმოადგენდა, თუმცა, ჩვენი აზრით, აფსიდით დაბოლოვებული სათავსი სამლოცველო უნდა იყოს, რომელიც, შესაძლოა, მოგვიანებოით დამხმარე ნაგებობადაც გამოიყენებოდა (სურ. 4).

მთავარი ნავი საკმაოდ ფართო და მაღალია. ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის კედლები თითქმის კამარის დასაწყისის და კონქის ზენიტის დონეზეა შემორჩენილი, სახეზეა დასავლეთი კედელიც, სამხრეთისა კი დანგრეულია. ინტერიერში კედლები კარგად თლილი ქვიშისფერი და რუხი ქვითაა ნაგები, კვადრები მსხვილია, ზოგჯერ უფრო კვადრატს მიახლოებული ფორმის (სურ. 5). მთავარ ნავს ორი შესავლელი აქვს – სამხრეთიდან და დასავლეთიდან, ორივე კარი კედლის ცენტშია განლაგებული. აფსიდში და დასავლეთიდან თითო მაღალი სარკმელია გაჭრილი (აფსიდისა თაღოვანია, დასავლეთის სარკმელს ზედა ნაწილი მონგრეული აქვს). აფსიდი აქაც გეგმის სწორკუთხედშია ჩაწერილი და ღრმა ნახევაწრიული მოხაზულობისაა. სამხრეთიდან ღრმა ნიშია, პასტოფორიუმები ცალკე სათავსების სახით არაა მოცემული. ნავი მასიური საფეხურისებრი პილასტრების ორი წყვილითაა დანაწევრებული. მათზე გადადის გრძივი კედლის დამანაწევრებელი და კამარის საბჯენი თაღები. კაპიტელებს სადა ტრაპესიისმაგვარი, ოდნავ გაღუნული ფორმა და ზედ გადებული ბრტყელი ფილა აქვს. მარტივად, გრაფიკული ხაზებითაა დამუშავებული გვერდითა ნავში გამავალი ერთ-ერთი თაღის შემორჩენილი პირი. მეორე თაღის ზემოთ ჩუქურთმიანი ფილაა ჩასმული, შესაძლოა, ადგილნაცვალი (სურ. 6). საკურთხევლის ნაწილის კედელი ორფერია – ქვედა ნაწილის რუხი ქვები მკვეთრად გამოიყოფა კონქის მოყავისფრო-ქვიშისფერი წყობისაგან.

ეკლესიის ფასადები რუხია, მომწვანო-ფირუზისფერი ჩანართებით.

შედარებით კარგადაა შემორჩენილი პერანგის წყობა დასავლეთ ფასადზე. აქ შესასვლელი კარის პორტალი გაფორმებული წნული ჩუქურთმიანი სწორკუთხა მოჩარჩოებით და ორმაგი ლილვით. კარის აქეთ-იქით პროფილირებული კონსოლებია – შესაძლებელია, მათ რაიმე კონსტრუქცია ეყრდნობოდა (მაგ., კარიბჭის თაღი). კარის ზევით დეკორატიული ჯვარია, უფრო ზევით – ნაწილობრივ შემორჩენილი სარკმლის ჩუქურთმიანი საპირე (წნული ორნამენტული არშია გრეხილი შეწყვილებული ლილვების მოჩარჩოებაშია მოქცეული) (სურ. 7).

ქუმის ეკლესია საქართველოში გავრცელებული ირნავიანი ეკლესიების ნიმუშია. უმეტესობა მათგანში მთავარი და გვერდითა ნავები ერთი საყრდენითა და ორი თაღითაა გამოყოფილი ერთმანეთისაგან[7]. ამ საკმაოდ იშვიათ არქიტექტურულ ტიპის შესწავლაში უდიდესი წვლილი ი. ელიზბარაშვილს ეკუთვნის, რომელმაც დისერტაცია და რამდენიმე ფუნდამენტური ნაშრომი მიუძღვნა მას[8]. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მის ნაშრომებში ქუმის ეკლესია არაა მოხსენიებული, და, ამდენად, ძეგლის განხილვა კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენს ჩვენთვის. ჩვენი მიზანია დავაზუსტოთ ქუმის ტაძარის აგების თარიღი და ადგილი მივუჩინოთ ქართული ორნავიანი ეკლესიების არქიტექტურული ტიპის ევოლუციურ სქემაში.

თავად ორნავიანი ეკლესიების არქიტექტურულ ტიპზე უნდა ითქვას, რომ, როგორც ამას ხშირად ვხედავთ შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაში, კლასიკური ბაზილიკური კომპოზიცია ქართულ ნიადაგზე ისეა გადამუშავებული და სახეცვლილი, რომ მას რთულია კიდეც ვუწოდოთ ბაზილიკა. მსგავსი მიდგომა საქართველოში მრავალ საუკუნეს ითვლის. ჯერ კიდევ გ. ჩუბინაშვილმა უწოდა უძველეს ქართულ ბაზილიკებს სათუო ბაზილიკები, იმდენად ნიველირებული იყო მათში ამ არ-

[7] გამონაკლისს წარმოადგენს ზედა ვარძიისა და ბზიანას ეკლესიები, სადაც ნავების გამყოფად ორი ბურჯი და სამი თაღია გამოყენებული.

[8] ი. ელიზბარაშვილი. ქილდის ორნავიანი ეკლესია. ძეგლის მეგობარი. თბ. 1986. №71, გვ. 28-33; ი. ელიზბარაშვილი. დანკალის ორნავიანი ეკლესია. ძეგლის მეგობარი. თბ. 1993, №1, გვ. 17-21; ი. ელიზბარაშვილი. ორნავიანი ეკლესიების ლიტურგიკულ-ფუნქციური დატვირთვის შესახებ. აკადემია. №2, თბ. 2002, გვ. 66-74. ი. ელიზბარაშვილი, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქია, ზველის (ძველის) წმინდა გიორგის ეკლესია, ღართის ეკლესია. თბ. 2013, გვ. 484-488, 594-596; ი. ელიზბარაშვილი, ბზიანის წმ. გიორგის ეკლესია. ძეგლის მეგობარი. თბ. 1984, №67, გვ. 6-11; И. Г. Элизбарашвили, К вопросу об эволюции двухнефных церквей Грузии. 4-ый Международный симпозиум по грузинскому искусству. Тб. 1983, გვ. 2.

ქიტექტურული ფორმის თვისებები: როგორც ცნობილია, კლასიკური ბაზილიკა სპეციფიკური ტიპის შენობაა, სადაც შენარჩუნებულია ანტიკური ბაზილიკებისთვის დამახასიათებელი სწორკუთხა, ლონგიტუდინური გეგმარება. უმეტეს შემთხვევაში ქრისტიანული ბაზილიკის მოკლე ფასადზე არსებული მთავარი შესასვლელის საპირისპიროდ საკუთხევლის აფსიდია განლაგებული. ინტერიერი სვეტების რიგების წყობა გარკვეული მიმართულების მქონე, პერსპექტივაში განვითარებად შიდა სივრცეს ქმნის, სადაც სვეტებისა და სხვა ელემენტების თანაბარი რიტმი აფსიდისაკენ მიემართება. ამრიგად, არქიტექტურული კომპოზიციის ფოკუსში საკურთხეველი ექცევა. საქართველოში ბაზილიკები სრულიად სხვაგვარია: შესასვლელი უმეტესად გრძივი კედლის ცენტრშია, ისე რომ მნახველი პირდაპირ შენობის ცენტრში ხვდება; სვეტების რაოდენობა მცირეა, შენობის აბრისი კვარდატს უახლოვდება. მეტიც, საქართველოში შეიმუშავეს ქრისტიანული სამყაროსთვის სრულიად უჩვეულო, სამეკლესიანი ბაზილიკის ფორმა,რომელიც სვეტების მწკრივებით ნავებად დაყოფილი ინეტერიერის მაგიერ სამ იზოლირებულ სათავსს, ან ცენტრალური ნავის გაშემო სამმხრივ გარშემოსავლელს ქმნის. ამრიგად, კლასიკური ბაზილიკის ხასიათი შუა საუკუნეების საქართველოში მუდამ ხდება იმპროვიზაციის საგანი და მნიშვნელოვნად სცილდება კლასიკურ პირველსახეს. ამ მხრივ ძალზე სიმპტომატურია ორნავიანი ბაზილიკებიც: ეს, როგორც ვთქვით, არც თუ მრავალრიცხოვანი ჯგუფი დაახლოებით ორ ათეულ ნიმუშს მოიცავს (შალაურის (VI ს-ის I ნახ..), ბაღიანთკარის (VI ს.), ბაიხოს (VII ს.), ქოჩალოს (VI-VII სს.), ბზიანას (VIII ს.), ახმეტის ღვთაების (IX-X სს.), საკვირიკეს (IX), ღართას (IX ს.), დვირის (X ს-ის I ნახ.), ვანის (X), ზველის (ძველის) (X ს.), ქილდის (X ს.), დანკალის (X ს.), ზემო ვარძიის (X-XI სს. მიჯნა), ტაბაკინის (VI-VII, X-XI სს.) მღვიმევის (XIII ს.) და სხვ. ეკლესიები). საკმაოდ გავრცელებულია ასეთი ტიპის ნაგებობები სამცხეჯავახეთში და მათი უმეტესობა გარდამავალ ხანას, ან X ს-ს განეკუთვნება. ასეთ ეკლესიებში გვერდითა ნავი ზოგჯერ მთავარზე მოკლეა (ქილდა) (სურ. 8), ზოგჯერ ფართო, კარგად განათებული, დამოუკიდებელი მხატვრული მნიშვნელობის მქონე სათავსია (შალაური, ბაღიანთკარი), ზოგჯერ კი ვიწრო, ბნელი დერეფნის სახე აქვს და მთავარი ნავის თითქოს დანამატს წარმოადგენს (ქილდა, ზემო ვარძია). გვერდითა ნავს უმეტესად აფსიდი აქვს, ზოგჯერ კი აღმოსავლეთიდან სწორი კედლით სრულდება. თითქმის ყველა შემთხვევაში ნავებს ცალკე გადახურვა აქვს:

მაღალი ორფერდა სახურავი ცენტრალურს და დაბალი, ცალქანობა – გვერდითას. უფრო გართულებულ კომპოზიციებში, სადაც ეკლესიას ემატება სტოა ან ეკვდერი, ამ დაბალ სეგმენტსაც ცალკე გადახურვა აქვს. გამონაკლისია მხოლოდ ზემო ვარძიის ეკლესია, სადაც ორივე ნავი და სტოა ერთიან ორფერდა გადახურვაშია მოქცეული სხვენში სამალავების არსებობის გამო. ქუმის ეკლესიის შემთხვევაში, ნავების სიმაღლეებს შორის სხვაობა მნიშვნელოვანია. საკურთხევლის აფსიდის ნახევარწრე ორნავიან ეკლესიებში ყოველთვის ჩაწერილია გეგმის სწორკუთხედში, ამ მხრივ ქუმის ეკლესიაც არ წარმოადგენს გამონაკლისს. ერთადერთი შვერილაფსიდიანი ორნავიანი ტაძარი დასავლეთ საქართველოში მდებარეობს (მღვიმევის ეკლესია)[9].

პასტოფორიუმების მოწყობა გეგმის თავისებურების გამო ორნავიან ეკლესიაში რთულდება. ამ ტიპის ნაგებობებში მხოლოდ ერთი სათავსის მოწყობაა შესაძლებელი – გვერდითა ნავის საპირისპირო მხარეს (უმეტესად, ჩრდილოეთით - მაგ., შალაური, ბაიხო, ბზიანა[10], ახმეტა, ქოჩალო, მღვიმევი, ზედა ვარძია, იშვიათად - სამხრეთით, მაგ, ღართა[11]) . ზოგჯერ ასეთ ეკლესიებს, ქუმის მსგავსად, საერთოდ არ აქვს პასტოფორიუმები: ეს უმეტესად X ს-ის ძეგლებია (ქილდა[12], დვირი, საკვირიკე, ვანი).

ქუმის ეკლესიის თავისებურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ორნავიანი ტაძრების უმეტესობისგან განსხვავებით, სადაც ნავების გამოყოფი ორი თაღი საკმაოდ განიერია და ღიობები თითქმის მთელი გრძივი კედლის სიგრძეს იკავებს, აქ ღიობები ვიწრო და დაბალია და მხოლოდ კედლის აღმოსავლეთი, აფსიდისწინა მონაკვეთი უჭირავს. გვერდითა ნავის შედარებით მეტი იზოლირებულობის მაგალითს ღართას, ქილდას და საკვირიკეს ეკლესიები გვაძლევს, თუმცა არსად თაღები ასეთი მცირე არაა ნაგებობის საერთო ზომებთან შეფარდებით, როგორც ქუმის ეკლესიაში.

ქუმის ეკლესიაში, X ს-ის ძეგლების, საკვირიკესა და ქილდის ტაძრების, მსგავსად, გვერდითა ნავი განათებულია ორი, დასავლეთისა და

[9] ნ. ჯაბუა. ქრისტიანული ტაძრის არქიტექტურული ტიპები შუა საუკუნეების საქართველოში. თბ. 2012, გვ. 56-63.
[10] ი. ელიზბარაშვილი. ბზიანის წმ. გიორგის ეკლესია, გვ. 6-11.
[11] ი. ელიზბარაშვილი. ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქია. ღართის ეკლესია, გვ. 594-596
[12] ი. ელიზბარაშვილი. ქილდის ორნავიანი ეკლესია, გვ. 28-33.

აღმოსავლეთის მხარეს გაჭრილი თითო სარკმლით. ორ ნავს შორის საგრძნობი განსხვავება სიმაღლესა და სიგანეში თითქოს შერბილებულია კონსტრუქციული წყობის მსგავსებით: ორივე ნავში ხაზგასმულადაა აქცენტიურებული მძლავრი საბჯენი თაღები და თუმცა მცირე ნავს მხოლოდ აფსიდისპირა პილასტრები აქვს, მათი მძლავრი ფორმები და მასიური კაპიტელები და კამარის ორი საბჯენი დაკიდებული თაღის კონსოლები თითქოს იმეორებს დიდი ნავის კონსტრუქციების რიტმს და ფორმებს. კონსტრუქციების მონუმენტური არქიტექტონიკის ხაზგასმა და რიტმულობა ერთგვარად აკომპენსიერებს შენობის დეკორის სიმცირეს და მის მკაცრ იერსახეს. მსგავს მხატვრულ გადაწყვეტას ვხედავთ ასევე დანკალის ეკლესიაში[13]. ქუმის ეკლესიის კიდევ ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მისი აფსიდი ასიმეტრიულია -მისი ჩრდილოეთის კუთხე ღიაა, თაღის ღიობს წარმოადგენს, სამხრეთის აფსიდისპირა შვერილის სიმეტრიულად აქ სვეტია განლაგებული.

ორნავიანი ეკლესიების არქიტექტურული ტიპის გავრცელება საქართველოში დაახლოებით ემთხვევა სამეკლესიანი ბაზილიკების პოპულარობის ხანას. გეოგრაფიულადაც ამ ორი ტიპის გავრცელების არეალი უმეტესად მსგავსია: მრავლად შენდება ორნავიანი ეკლესია და სამეკლესიანი ბაზილიკა ქართლში, კახეთში, სამცხე-ჯავახეთში, ბორჯომის ხეობაში, ისტორიულ კუდაროში თუ თორში. არქიტექტურული თავისებურებებიდან გამომდინარე, ქუმის ეკლესიის უახლოეს პარალელებად ქილდის, დვირის, საკვირიკეს, დანკალის[14] ორნავიანი, მასთან გეოგრაფიულადაც ახლოს მდებარე ეკლესიები გვესახება. ამ ნიმუშების უმეტესობა X ს-ის განმავლობაშია აგებული, უფრო სავარუდოდ – ამ საუკუნის შუახანებში. დაახლოებით ამავე ეპოქას უნდა ეკუთვნოდეს ქუმის ეკლესიაც. ნაგებობის დასავლეთ ფასადზე არსებული სარკმლის საპირე და კარის პორტალი, ორნამენტის სტილური თავისებურებებიდან და ჩუქურთმის კვეთის ტექნიკური ხერხებიდან გამომდინარე, ცოტათი მოგვიანებით, სავარაუდოდ, XI ს-ში უნდა იყოს შესრულებული. მთლიანობაში ამ ფასადის პერნაგი, ვფიქრობთ, გვიანდელი გადაწყობის კვალსაც ატარებს.

[13] ი. ელიზბარაშვილი. დანკალის ორნავიანი ეკლესია, გვ. 20-21.
[14] ი. ელიზბარაშვილი. დანკალის ორნავიანი ეკლესია, გვ. 19-21.

სურ. 1. ქუმის ეკლესია





სურ. 2. ქუმის ეკლესია, გეგმა, ჭრილი

სურ. 3. ქუმის ეკლესია, ინტერიერი, ნავების გამყოფი თაღედი

სურ. 4. ქუმის ეკლესია, გვერდითა ნავი

სურ. 5. ქუმის ეკლესია, მთავარი ნავი

სურ. 6. ქუმის ეკლესია, ინტერიერის დეკორის ელემენტი

სურ. 7. ქუმის ეკლესია, დასავლეთი ფასადი



სურ. 8. ქილდის ეკლესია, გეგმა ი. ელიზბარაშვილის მიხედვით

Nino Silagadze
Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

ST. GEORGE'S CHURCH OF QUMI

Summary

St. George's Church of Qumi (the same as Qomi or Khomi) in historical province of Georgia – Samtskhe – is located about 15 km from Akhaltsikhe, in vicinity of the modern village Sviri and historical settlement Tornisi. Fragments of the building reached us in the form of ruins. Around the church, there are architectural details and stones, adorned with ornaments. The local population refers to this territory by the toponym Qomi/Khoma/Qumi, the entire valley is known by the same name. The church seems to be built in high Middle Ages. Traces of monastic buildings can be clearly observed around the church. The main building of monastery complex is a two-nave church, it consists of the main nave and a smaller nave adjacent to it from the north. In addition, the building has a trapezoidal outbuilding on the northern facade, another one – a small chapel – was attached to the southern facade. The main nave of the church is connected to the small northern nave by a two-arched passage. The main nave is quite wide and tall. The external structure on the western facade is relatively well preserved. Here, the portal of the entrance door is decorated with braided carving, a decorative cross above the door and a ornaments of window frame are still visible.

Qumi church is a sample of two-nave churches, which is not very common for medieval Georgia (there are some 20 samples preserved until nowadays). In most of the structures, the main and side naves are separated from each other by one pillar and two arches. Many Georgian scientists made the great contribution to the study of this rather rare architectural type, although the Qumi Church is not mentioned in these works, and thus, its analysis and interpretation becomes even more relevant for us. The purpose of our article is to specify the date of construction of the Qumi Church and give it a place in the evolutionary scheme of the architectural type of Georgian two-nave churches.

Buildings of this type are quite common in Samtskhe-Javakheti, and most of them belong to the 10th century. In such churches, the side nave is sometimes shorter than the main nave, sometimes it is a wide, well-lit, independent space with artistic significance, and sometimes it has the appearance of a narrow, dark corridor and seems to be an addition to the main nave. The side nave usually has an apse, but sometimes it ends with a straight wall from the east. In almost all cases, the both naves have a separate roof: a high roof with pediment for the central one and a low, shed roof for the side one. In more complicated architectural compositions, where a stoa or an outbuilding is added to the church, this lower segment also has a separate roof. In the case of the Qumi Church, the difference between the heights of the naves is significant. The semicircle of the apse in the two-nave churches is almost always inside in the right angle of the plan, and so it is in the case of the Qumi Church too.

Arrangement of side-rooms of the altar in two-nave churches is very difficult due to the peculiarity of the plan. In this type of buildings, only one side-room can be arranged – on the opposite side of the small nave. In our case, there are no side-rooms at all, as in a many other two-nave chruches, built during the 10th century in Georgia.

The peculiarity of the Qumi Church is the fact that, unlike most two-nave churches, where the two arches separating the naves are quite wide and the openings occupy almost the entire length of the longitudinal wall, here the openings are narrow and low and occupy only the eastern section of the wall, in front of the apse. Some other 10th century two-nave churches (e.g. Gharta, Kilda and Sakvirike in Samtskhe-Javakheri region) give us an example of the isolation of the side nave too, but nowhere are the arches so small compared to the overall dimensions of the building, as in the church of Qumi. Another peculiarity of the Qumi Church is an asymmetrical apse – its northern corner is open: here is located the arch, and a column is posted symmetrically to southern pillar of the apse.

Based on the architectural features, the closest parallels to the Qumi Church seem to be the two-nave churches of Kilda, Dviri, Sakvirike and Dankali, which are also geographically located close to it. Most of these two-nave churces were built during the 10th century, more likely – in the middle of the century. The church of Qumi should belong to the same era.